



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 67
18/10/2019

67-09-4-201910181726



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის
დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლის
საპროექტო წინადადების მოწონების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლის საპროექტო წინადადება თანდართული ფორმით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილ თხლაშიძე


საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლის საპროექტო წინადადება

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	პროექტის დასახელება	პროექტის კატეგორია	პროექტის ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	რეგ. ფონდის დაფინანსება	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება	ბენეფიციარი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	ექსპერტიზა
კახეთი	თელავი	ქ. თელავში ავტობუსების სადგომის და დამხმარე ნაგებობების მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	1 305 645	1 105 645	200 000	25 000	არის	არის

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო